საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა დისციპლინური

სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კომისიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კომისიის წევრი

ანა ლორია – კომისიის წევრი

მარიკა არევაძე – კომისიის წევრი

ცისმარი ონიანი – კომისიის წევრი

ქეთევან უტიაშვილი - კომისიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კომისიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი – კომისიის წევრი

ირაკლი კორძახია –კომისიის წევრი

ია გაბედავა –კომისიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი –კომისიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.09.2016

საჩივრის რეგისტრაციის N - 077/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ჯ.-ის /სიითი N/ მიმართ, სპეციალიზაცია საერთო

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ჯ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2016 წლის 16 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ თ. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2017 წლის 05 დეკემბერს საჩივრის ავტორმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. 2018 წლის 18 ივნისს საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა- განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას გარდაეცვალა მეუღლე, რის შემდგომაც თავის შვილთან - ვ. ვ.-თან ერთად ხშირად ჩადიოდა მცხეთაში მამამთილის მოსანახულებლად, რომელიც აცხადებდა, რომ თავის ქონებას შვილიშვილს - ვ. ვ.-ს დაუტოვებდა და მის მიერ შედგენილი ანდერძი აჩვენა. საჩივრის ავტორის მამამთილი მ.-ში (მცხეთაში) ერთ ქალბატონთან ერთად ცხოვრობდა, რომელთანაც ხელი არ ჰქონდა მოწერილი. საჩივრის ავტორმა შემთხვევით, საინფორმაციოს მოსმენის დროს შეიტყო, რომ მამამთილი მძიმე დამწვრობით საავადმყოფოში მოათავსეს და ლ. ბ.-ც მაშინვე წავიდა მის მოსანახულებლად. ლ. ბ.-ს განმარტებით, მამამთილმა გარდაცვალების წინ რამდენჯერმე უთხრა, რომ მისი მოკვლა უნდოდათ, თუმცა კონკრეტულად არ ასახელებდა ვის და ითხოვდა სასწრაფოდ ნოტარიუსი მიეყვანათ მასთან. საჩივრის ავტორის განმარტებით, ეს შემთხვევა 2012 წლის 08 აპრილს მოხდა, მეორე დღეს 09 აპრილს არცერთი სანოტარო ბიურო არ მუშაობდა, 10 აპრილს მამამთილი უკვე გარდაიცვალა. ლ. ბ.-მა ამ შემთხვევის შემდგომ, შეიტყო, რომ მისი მეუღლისგან მემკვიდრეობით მიღებული ანტიკვარული მანქანაც დაიკარგა, რომელიც მ.-ში მდებარეობდა, რის შემდგომაც გადაწყვიტა ადვოკატისთვის მიემართა.

1.3 ლ. ბ.-მა საერთო ახლობლის - ნ. ვ.-ის მეშვეობით გაიცნო ადვოკატი თ. ჯ., რომელსაც შეუთანხმდა, რომ გაუწევდა საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურებას - მამამთილის გაურკვეველ ვითარებაში დამწვრობის და მისი გარდაცვალების საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, მისი შვილის - ვ. ვ.-ის მიერ სამკვიდრო ქონების მიღების თაობაზე და მანქანის დაკარგვის საქმეზე. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. ჯ.-მ განუცხადა მას, რომ „ყველაფერს მოაგვარებდა“. ლ. ბ.-ს ადვოკატმა თ. ჯ.-მ ჩამოუწერა ყველა იმ დოკუმენტის დასახელება, რაც მისთვის უნდა გადაეცა საქმის წარმოებისთვის. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს საქმის ყველა მასალა ორიგინალის სახით გადასცა, თუმცა მასალები ადვოკატს მისთვის დღემდე არ დაუბრუნებია. ლ. ბ.-ს ადვოკატმა განუმარტა, რომ ის როგორც რძალი ვერ მიიღებდა მამამთილის სამკვიდრო ქონებიდან წილს, თუმცა მისი შვილი შეძლებდა მიღებას და ამიტომ აღნიშნული საქმის საწარმოებლად ადვოკატის სახელზე გაიცა მინდობილობა საჩივრის ავტორის შვილის - ვ. ვ.-ის მიერ, თუმცა უშუალო კომუნიკაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე ადვოკატთან მხოლოდ საჩივრის ავტორს ჰქონდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა თ. ჯ.-მ მას მოსთხოვა ჰონორარის სახით 2000 (ორი ათასი) ლარის გადახდა, რის შემდგომაც, შეთანხმების შესაბამისად, პირველ ეტაპზე საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჰონორარის სახით ანგარიშზე ჩაურიცხა 900 (ცხრაასი) ლარი.

1.5 ლ. ბ.-მა მოგვიანებით თავად შეიტყო, რომ მისი მამამთილის ქონება ჩუქების გზით უკვე გადაფორმებული ჰქონდა იმ ქალბატონს, ვისთან ერთადაც ადრე ცხოვრობდა მამამთილი, რის თაობაზეც ლ. ბ.-მა ინფორმაცია მიაწოდა ადვოკატს, თუმცა მან გააფრთხილა, რომ ეს ქალბატონი არ ენახა, რადგან არ გაეღიზიანებინა და არ ეთქვა, რომ აშანტაჟებდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, საწყის ეტაპზე ადვოკატმა საქმის წარმოება თითქოს კარგად დაიწყო. ლ. ბ. თავად რამდენჯერმე უკავშირდებოდა ადვოკატს, რომელიც ეუბნებოდა, რომ მანქანა გაუფუჭდა და საქმეებზე ვერ ივლიდა, ამიტომ ლ. ბ.-მა დაიქირავა მანქანა და ადვოკატთან ერთად ის და მისი შვილი ჩავიდნენ მცხეთის პოლიციაში. საჩივრის ავტორის განცხადებით, როგორც მას ახსოვს გამომძიებელთან უშუალოდ გასაუბრებას ადვოკატი არ ესწრებოდა. ლ. ბ.-ს განცხადებით, გამომძიებელთან მანქანის დაკარგვის საკითხზე ჰქონდათ საუბარი. ლ. ბ.-ს ადვოკატმა განუმარტა, რომ მამამთილის გარდაცვალების საკითხზე სისხლის სამართლის დანაშაული ვერ დადგინდებოდა. საჩივრის ავტორი ვარაუდობს, რომ ადვოკატმა საჩივრით მიმართა მცხეთის რაიონულ პროკურატურას მის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა სამომავლოდ, როგორ განვითარდა მისი საქმე, ამის თაობაზე ადვოკატი საერთოდ არ აწვდიდა ინფორმაციას.

1.7 საჩივრის ავტორი ყოველთვის ცდილობდა ადვოკატთან დაკავშირებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მათ შორის ტელეფონზე უგზავნიდა შეტყობინებებს, თუმცა ადვოკატმა ამ პერიოდში მხოლოდ ერთხელ უპასუხა და საჩივრის ავტორს გაუგზავნა შეტყობინა, იმის თაობაზე, რომ მამამთილის ბინის შეფასება იყო საჭირო, რისთვისაც მას 100 (ასი) ლარი უნდა გადაეცა და მხოლოდ ამის მიხედვით მიიღებდა მისი შვილი - ვ. ვ. წილს, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა გადასცა ადვოკატს აღნიშნული თანხა და სოციალურად დაუცველის სტატუსის შესახებ ცნობა, თუმცა ამის შემდგომ, საჩივრის ავტორს ადვოკატი არ უნახავს, რადგან მოუცლელობას იმიზეზებდა, შემდგომ კი კვლავ აღარ პასუხობდა სატელეფონო ზარებს და თუ უპასუხებდა ეუბნებოდა, რომ საქმის მასალები თავად ჰქონდა, მათ შორის ქონების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა აღნიშნული საჩივრის ავტორისთვის არ წარუდგენია.

1.8 ლ. ბ.-ს განმარტებით, ვინაიდან ის ადვოკატთან დაკავშირებას თავად ვეღარ ახერხებდა და საერთოდ ვერ იღებდა ინფორმაციას მისგან, თუ რა ხდებოდა საქმესთან დაკავშირებით, მიმართა პოლიციას განცხადებით ადვოკატის წინააღმდეგ, რის შემდგომაც ადვოკატმა პოლიციას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია და განუცხადა, რომ მან ჰონორარი დაუბრუნა ლ. ბ.-ს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. ჯ.-მ 2017 წლის 10 ოქტომბერს გაუგზავნა შეტყობინება, რომ ის დაუბრუნებდა

ჰონორარის ნაწილს - 500 ლარს, რაზეც საჩივრის ავტორი თანახმა იყო, თუმცა ადვოკატმა პირობა არ შეასრულა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ეთიკის კომისიამ ადვოკატ თ. ჯ.-ს 2016 წლის 21 სექტემბერს გაუგზავნა საჩივარი და განუსაზღვრა ხუთი დღის ვადა ახსნა-განმარტების წარმოსადგენად, თუმცა ადვოკატს იგი არ წარმოუდგენია. ადვოკატს ეთიკის კომისიის მიერ კვლავ გაეგზავნა წერილი 2016 წლის 10 ნოემბერს იმის თაობაზე, რომ 2016 წლის 24 სექტემბერს ჩაბარდა საჩივარი მის მეუღლეს მისამართზე: ქ. თბილისი, ი.-ის ქ. №--, თუმცა ადვოკატს ახსნა-განმარტება დადგენილ ვადაში არ წარმოუდგენია და ასევე, მასთან დაკავშირება ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში მითითებულ ნომერზე ვერ ხერხდებოდა, რადგან ნომერი გამორთული იყო. კომისიამ ამავე წერილით ადვოკატს აცნობა, რომ მასთან გასაუბრების მიზნით, სხდომა ჩაინიშნა 2016 წლის 15 ნოემბერს, თუმცა აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატი თ. ჯ. არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე უცნობებია კომისიისთვის.

2.2 2017 წლის 16 ნოემბერს ადვოკატ თ. ჯ.-ს გაეგზავნა და ჩაბარდა შეტყობინება მხარეებთან გასაუბრების მიზნით 2017 წლის 21 ნოემბერს ჩანიშნული განხილვის კოლეგიის სხდომის თაობაზე, თუმცა აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატი კვლავ არ გამოცხადდა.

2.3 2017 წლის 28 ნოემბერს ადვოკატ თ. ჯ.-ს ეთიკის კომისიის მიერ გაეგზავნა და ჩაბარდა წერილობითი შეტყობინება საცხოვრებელ მისამართზე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების'' შესახებ დებულების 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადვოკატის უფლების თობაზე, პირველად, მისი განხილვის კოლეგიის სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სხდომის გადადების შესახებ და ასევე ეცნობა მომდევნო სხდომის ჩანიშვნის თარიღი.ადვოკატი თ. ჯ. ისევ არ გამოცხადებულა 2017 წლის 05 დეკემბერს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

2.4 ეთიკის კომისიის მიერ 2018 წლის 29 მაისს ადვოკატ თ. ჯ-ს ჩაბარდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მხარეებთან გასაუბრების მიზნით, 2018 წლის 05 ივნისს ჩაინიშნა ეთიკის კომისიის სხდომა, თუმცა აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატი არ გამოცხადდა. ეთიკის კომისიამ 2018 წლის 06 ივნისს გაუგზავნა შეტყობინება ადვოკატ თ. ჯ.-ს იმის თაობაზე, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და დისციპლინური წარმოების დებულების გათვალისწინებით, ადვოკატს მიეცა შესაძლებლობა მისი არასაპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, მხარეებთან გასაუბრების მიზნით სხდომა გადადებულიყო და ეცნობა სხდომის თარიღი.

2.5 ეთიკის კომისიის აპარატი 2018 წლის 14 ივნისს უშუალოდ დაუკავშირდა ადვოკატს ტელეფონის მეშვეობით და განმეორებით აცნობა ეთიკის კომისიის სხდომის თარიღი, ადვოკატმა დაადასტურა რომ ის გამოცხადდებოდა სხდომაზე. ადვოკატი თ. ჯ.

2018 წლის 18 ივნისს ჩანიშნულ ეთიკის კომისიის სხდომაზე კვლავ არ გამოცხადებულა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე არ წარმოუდგენია ინფორმაცია.

2.6 ადვოკატი არ გამოცხადდა ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის დროს მასთან გასაუბრების მიზნით დანიშნულ არცერთ სხდომაზე და არ წარმოუდგენია გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზის დამადასტურებელი მტკიცებულება. ადვოკატს, ასევე, არ წარმოუდგენია რაიმე სახის პოზიცია წერილობითი ფორმით, მიუხედავად მისი არაერთხელ ინფორმირებისა. შესაბამისად, ეთიკის კომისიისთვის უცნობია ადვოკატ თ. ჯ.-ის პოზიცია საჩივარში აღნიშნული პრეტენზიების თაობაზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2017 წლის 02 აგვისტოს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ თ. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა თ. ჯ.-მ არ გაუწია კვალიფიციური იურიდიული მომსახურება საჩივრის ავტორს, როგორც სამოქალაქო, აგრეთვე, სისხლის სამართლის საქმეებზე და არ მიაწოდა ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, დარღვეული იქნებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, შესაძლოა, ადვოკატმა შეთანხმების შესაბამისად, არ განახორციელა შესაბამისი იურიდიული მოქმედებები საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საქმეებზე, მათ შორის, კლიენტის დაპირების მიუხედავად, არ მოიწვია ექსპერტი სადაო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასების მიზნით. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ 2013 წლიდან დღემდე ადვოკატი არ აწვდიდა მას ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე, რის თაობაზეც საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

3.4 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს იურიდიული მომსახურების შეწყვეტის შემდგომ, არ დაუბრუნა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები, აგრეთვე, ფულადი თანხა, რომელიც საჩივრის ავტორმა მას გადასცა, დარღვეულად ჩაითველბა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

4.1 ეთიკის კომისიის მეორე დისციპლინური კოლეგიის 2017 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისცპლინური

წარმოების შესახებ“ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

4.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ადვოკატის მიერ განხორციელებულ დისციპლინურ გადაცდომათა შეფასებით, ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განსაზღვროდა გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, რის გამოც საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

მტკიცების ტვირთის განაწილებისას, ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებული მსჯელობა იხ. 7.6 და შემდეგ პარაგრაფებში.

ადვოკატს არ წარმოუდგენია პოზიცია საჩივარში აღნიშნულ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელსაც დაეთანხმებოდა ან სადაოდ გახდიდა.

განმცხადებელმა მიუთითა ფაქტებზე და წარმოადგინა მათი დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულებები, ხოლო ადვოკატს არათუ საპირისპირო მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, საერთოდ არ შეედავა მათ. შედეგად, ეთიკის კომისია ადგენს, რომ დისციპლინურ პროცესში არსებული მტკიცების სტანდარტი დაკმაყოფილებულია და დგინდება განმცხადებლის მიერ მითითებული შემდეგი ფაქტები:

5.1 2012 წელს ზეპირი შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატ თ. ჯ.-ს უნდა გაეწია იურიდიული მომსახურება საჩივრის ავტორისათვის სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, კერძოდ, საჩივრის ავტორის მამამთილის გაურკვეველ გარემოებებში დაწვის და გარდაცვალების საქმეზე, საჩივრის ავტორის მიერ მეუღლისგან მემკვიდრეობით მიღებული მანქანის დაკარგვის საკითხზე და მისი შვილის მიერ სამკვიდროქონების მიღების თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;

2. კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა (ს.ფ. 12

3. ავტომანქანის პასპორტი (ს. ფ. 15).

5.2 ადვოკატმა ლ. ბ.-ს განუმარტა, რომ მისი შვილის - ვ. ვ.-ის საქმის წარმოებისთვის, კერძოდ, მემკვიდრეობის საკითხის დადგენისათვის საჭირო იყომინდობილობის გაფორმება, რის შემდგომაც საჩივრის ავტორის შვილის მიერ გაფორმდა მინდობილობა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;
2. ვ. ვ.-ის მიერ თ. ჯ.-ის სახელზე 2012 წლის 18 აპრილს გაფორმებული მინდობილობა (ს.ფ. 08);

5.3 საჩივრის ავტორმა გადაუხადა ადვოკატს ჰონორარი 900 ლარის ოდენობით..

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ლ. ბ. ს მიერ 2012 წლის 23 აპრილს თ. ჯ.-ის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა - 900 ლარის ოდენობით, დანიშნულებით - „ლ. ბ.-ს საქმეზესაადვოკატო მომსახურება“ (ს.ფ. 13);

5.4 ლ. ბ.-მა ადვოკატ თ. ჯ.-ს გადასცა მის საქმესთან დაკავშირებული საქმის მასალები ორიგინალის სახით, თუმცა ადვოკატს ის ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე არ დაუბრუნებია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა ფაქტის უარყოფის მტკიცების ტვირთის მითითებით შემოფარგვლას და ასევე, ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებას;

5.5 საქმესთან დაკავშირებით, ლ. ბ. ადვოკატ თ. ჯ.-სთან ერთად მხოლოდ ერთხელ იმყოფებოდა მცხეთის პოლიციაში მანქანის დაკარგვის საკითხზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;

5.6 ლ. ბ.-ს ადვოკატმა აცნობა, რომ მამამთილის გარდაცვალების საკითხზე სისხლისსამართლის საქმე ვერ აღიძრებოდა. შემდგომი კომუნიკაცია ამ საკითხზე მას არ ჰქონია კლიეტთან.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;

5.7 ლ. ბ. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ ახერხებდა ადვოკატთან დაკავშირებას, არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს და შეტყობინებებს და თუ უპასუხებდა - მოუცლელობას იმიზეზებდა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა ფაქტის უარყოფის მტკიცების ტვირთის მითითებით შემოფარგვლას და საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტებას;

5.8 ლ. ბ. შეხვდა ადვოკატს და გადასცა ადვოკატის მიერ მოთხოვნილი 100 ლარი, რომ მომხდარიყო მისი მამამთილის უძრავი ქონების შეფასება.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;

5.9 ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდგომ, ლ. ბ.-ს ადვოკატმა გაუგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება 2017 წლის 10 ოქტომბერს იმის თაობაზე, რომ ის დაუბრუნებდა ჰონორარის ნაწილს 500 (ხუთას) ლარს, თუმცა ადვოკატმა პირობა არ შეასრულა.

ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილი ახსნა-განმარტება;

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო მხარის მიერ წარმოდგენილ საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-*5* მუხლის „ა“ პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები „

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა ... კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-*8* მუხლის მე-*6* ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

7.2 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოიშობა მათ შორის ურთიერთშეთანხმებით. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

„ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.“ ეთიკის კოდექსით არ არის დადგენილი შეთანხმების ფორმის თაობაზე რაიმე შეზღუდვა. გარიგების ფორმა შესაძლებელია იყოს, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი, რის შემდგომაც ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას ეთიკური ვალდებულებები, მათ შორის კეთილსინდისიერად განახორციელოს იურიდიული მოქმედებები, რისთვისაც მიმართავს მას კლიენტი. ადვოკატის მიერ მასზე მინდობილი საქმის სრულყოფილად და კეთილსინდისიერად წარმოება შეუძლებელია კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დაცვის გარეშე. ადვოკატმა დროულად უნდა მიაწოდოს სრული ინფორმაცია თავის კლიენტს, მათ შორის არ შეუზღუდოს მასთან დაკავშირების შესაძლებლობა, მით უმეტეს ხანგრძლივი დროით.

7.3 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“(იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #096/11, 25.07.2012)

7.4 ეთიკის კომისიამ მოცემული გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #003/12 02.07.2012), რომლის მიხედვითაც ადვოკატმა შეთანხმების შესაბამისად არ განახორციელა იურიდიული მოქმედებები კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, მათ შორის არ დაუბრუნა კლიენტს მის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარი და ის ფულადი სახსრები, რომელიც ადვოკატს მიანდო კლიენტმა. მოცემულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „ადვოკატი ვალდებულია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში კლიენტს ზედმიწევნით მიაწოდოს ინფორმაცია არა მარტო საქმის მომზადებისა და მსვლელობის ეტაპებზე, არამედ არ დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის ქონებას...“ ამავე განდაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ მიაწვდის და სათანადოდ არ განუმარტავს კლიენტს კანონით მინიჭებულ საპროცესო უფლებებს, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტისათვის საზიანო სამართლებრივი შედეგის დადგომა“. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში აგრეთვე, ნამსჯელია საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების თაობაზე, მათ შორის იმ დოკუმენტების თაობაზე, რომელიც შესაძლოა კლიენტის საქმის თაობაზე ადვოკატმა შექმნა, რომლის დაუბრუნებლობით „კლიენტი მოკლებულია შესაძლებლობას მიმართოს სხვა ადვოკატს და გააგრძელოს თავისი ინტერესების დაცვა.“

7.5 ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოება მიმდინარეობს „მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით” (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33.2). საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება

მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ საიმისოდ, რათა წარადგინონ მათი პოზიციების სასარგებლო არგუმენტები. იმავდროულად, ამ პრინციპის უმთავრესი მიზანია სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და ამ მიზნისთვის ეს პრინციპი ეყრდნობა ორივე მხარის მიერ არგუმენტების თავისუფლად წარდგენის შესაძლებლობას (იხ.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/8/594 საქმეზე "საქართველოს მოქალაქე ხ.შ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ," II, 27).

7.6 დისციპლინური საქმის წარმოების შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპზე დაყრდნობა არ გულისხმობს წმინდა შეჯიბრებითი პროცესის არსებობას, პირიქით, ეთიკის კომისია მისი როლისა და საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე მოქმედებს ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში არსებული მტკიცების შედარებით მაღალი სტანდარტის და ეთიკის კომისიის პროცესში აქტიური როლის გათვალისწინებით. სწორედ აქტიური როლი პროცესის წარმართვისას, ეთიკის კომისიას საშუალებას აძლევს მისთვის განსახილველად წარდგენილი საქმე სრულყოფილად იქნას შესწავლილი. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივარზე (მიმართვაზე) დისციპლინური საქმის წარმოება არის ინკვიზიციური ხასიათის..“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, გასუსგ #დს/შ10-13, თარიღი 16.10.2013)

7.7 ეთიკის კომისია თავის პრაქტიკაში საქართველოს კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის გარდა, ნორმატიული განმარტების პროცესში ხშირად ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილებას და საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკას, მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით ის მიუთითებს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) მოდალურ წესებში მითითებულია მტკიცების სტანდარტი, რომლის საფუძველზეც ადვოკატთა მიმართ დისციპლინირებისას ხელმძღვანელობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ABA მოცემული ნორმის განმარტებაში აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება თავისი სამართლებრივი ბუნებით არის უნიკალური (sui generis) და ის არც სამოქალაქოსამართლებრივია და არც სისხლისსამართლებრივი. ABA მიუთითებს, რომ „სარწმუნო მტკიცებულება“ (clear and convincing evidence) არის სტანდარტი, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივ სტანდარტზე - „შედარებით წონადი მტკიცებულება“ (preponderance of the evidence) მაღლა დგას, მაგრამ სისხლის სამართლებრივ სტანდარტზე - „გონივრულ ეჭვს მიღმა“ (Beyond a reasonable doubt) შედარებით დაბალია და სწორედ „სარწმუნო მტკიცებულების“ სტანდარტი უნდა იქნას გამოყენებული დისციპლინური საქმის განხილვისას.(Model rules for Judicial Disciplinary Enforcement; Section II General provisions , Rule 7. Proof.)

7.8 ეთიკის კომისიაში ადვოკატს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რითიც დადასტურდებოდა, რომ მან განახორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი იურიდიული მოქმედებები ლ. ბ.-ს და მისი შვილის ინტერესების სასარგებლოდ. მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორს მხოლოდ რამდენჯერმე გაუწია კონსულტაცია საქმის ირგვლივ, მათ შორის განუმარტა, რომ მამამთილის გარდაცვალების საქმეზე სისხლის სამართლის დანაშაული ვერ დადგინდებოდა იხ. ფაქტი 5.6. აგრეთვე,

რამდენჯერმე მასთან კომუნიკაციის დროს საჩივრის ავტორს ეუბნებოდა, რომ ის „ყველაფერს მოაგვარებდა“. ადვოკატი საჩივრის ავტორს საქმის თაობაზე მეორედ დაუკავშირდა მაშინ, როდესაც მან მოითხოვა 100 (ასი) ლარის მისთვის გადაცემა, იმ მიზნით, რომ ლ. ბ.-ს მამამთილის ქონების შეფასება მოეხდინა , იხ. ფაქტი 5.8. საჩივრის ავტორი კვლავ ენდო ადვოკატს და გადასცა მოცემული თანხა, თუმცა ადვოკატს ამასთან დაკავშირებით არანაირი იურიდიული მოქმედება არ შეუსრულებია და არც რაიმე დოკუმენტი წარუდგინა ლ. ბ.-ს , რაც ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერ მომსახურებას წარმოადგენს.

7.9 ადვოკატს, რომელსაც მართლმსაჯულების განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, მოეთხოვება მაღალი სტანდარტი თავისი პროფესიული ვალდებულებების შესრულების დროს. მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ის გარემოება, რომ თ. ჯ.-მ კეთილსინდისიერად აწარმოა რომელიმე საქმე, რის თაობაზეც შეუთანხმდა ლ. ბ.-ს . საჩივრის ავტორს ადვოკატისგან არ აქვს მიღებული არანაირი სახის ინფორმაცია მის საქმეებთან დაკავშირებით. ადვოკატის მიერ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებლება გამოიხატა იმ ქმედების დროსაც, როდესაც მან ლ. ბ.-ს გამოართვა სადავო ქონების შეფასებისთვის საჭირო თანხა, თუმცა ამის შემდგომ, მასთან დაკავშირება საჩივრის ავტორმა ვეღარ შეძლო. საჩივრის ავტორი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში 2012 წლიდან მოყოლებული ცდილობდა მის საქმეებთან დაკავშირებით მიეღო გარკვეული სახის ინფორმაცია, თუმცა მისთვის დღემდე უცნობია რა ეტაპზეა მისი საქმეები. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილთან ერთად დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება - ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი უთანხმდება კლიენტს, რომ ის აწარმოებს გარკვეულ საქმეს და გაუწევს მასსაადვოკატო მომსახურებას, ის იღებს პროფესიულ პასუხისმგებლობას, არამხოლოდ კეთილსინდისიერად საქმისწარმოების თაობაზე, არამედ ის ვალდებულია დროულად და სრულყოფილად მიაწოდოს სწორი ინფორმაცია კლიენტს საქმესთან დაკავშირებით. კლიენტის ინფორმირების ვალდებულება მართალია თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ცალკეა განსაზღვრული აპეკ-ში, თუმცა ის ამავდროულად კეთილსინდისიერი საადვოკატო მომსახურების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. შეუძლებელია კეთილსინდისიერად ჩაითვალოს მომსახურება, როდესაც კლიენტი მნიშვნელოვან სირთულეებს განიცდის ადვოკატთან კომუნიკაციაში და ეს გრძელდება მნიშვნელოვანი პერიოდი. ეთიკის კომისიას კიდევ უფრო გაუმყარდა ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირებულობის დარღვევის ფაქტი, იმ პირობებში, როდესაც ადვოკატს საერთოდ არ განუხორციელებია რაიმე სახის შედავება საქმის განხილვის რომელიმე სტადიაზე და ის არც ეთიკის კომისიაში ჩატარებულ განხილვაზე ან გამოკითხვაზე გამოცხადებულა.

7.10 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმა:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.

კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

7.11 ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები ჰონორარის გამოქვითვის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 განმარტა, რომ “ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.(იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16, 21.11.2016)

7.12 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №038/16 ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში

და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“.(იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #038/16, 16.09.2016)

7.13 ეთიკის კომისიამ 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 098/17 აღნიშნა, რომ „თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალიწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერ თანხის ოდენობის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა ზუსტად განსაზღვროს რა ოდენობა იქნება პროპორციული და რომელიმე მხარის მიერ სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს აღნიშნული თანხა კლიენტს სხვა ფულად სახსრებთან და საქმის მასალებთან ერთად.“ (იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #098/17, 28.01.2018)

7.14 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატს მასთან შეთანხმებით, ანგარიშზე ჩაურიცხა ჰონორარის ნაწილი - 900 ლარი. ლ. ბ.-მა ადვოკატს ასევე გადასცა დამატებით 100 (ასი) ლარი სამკვიდრო ქონების შეფასების მიზნით, თუმცა საშემფასებლო დასკვნა კლიენტისთვის არ გადაუცია. ასევე უცნობია ეთიკის კომისიისთვის, საერთოდ მოახდინა თუ არა ადვოკატმა სამკვიდრო ქონების შეფასება. ადვოკატმა ყოფილ კლიენტს გაუგზავნა შეტყობინება ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდგომ - 2017 წლის 10 ოქტომბერს, ჰონორარის ნაწილის 500 (ხუთასი) ლარის მისთვის დაბრუნების თაობაზე, თუმცა მას აღნიშნული თანხა დღემდე არ დაუბრუნებია.

7.15 ადვოკატის მომსახურების საგანში შედიოდა: კლიეტის მამამთილის გაურკვეველ გარემოებებში დაწვის და გარდაცვალების საქმეზე სისხლის სამართლის მიმართულებით მომსახურების განხორციელება, საჩივრის ავტორის მიერ მეუღლისგან მემკვიდრეობით მიღებული მანქანის დაკარგვის საკითხზე წარმომადგენლობა, ასევე მისი შვილის მიერ სამკვიდრო ქონების მიღების თაობაზე მომსახურება იხ. #5.1 ფაქტი. იმ პირობებში, როდესაც ადვოკატს არ განუხორციელებია მომსახურების უმეტესი ნაწილი, მათ შორის სისხლის სამართლის საქმის უპერსექტივობის გამო, იხ. # 5.6 ფაქტი, ასევე არ მოუპოვებია ქონების შეფასება, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს უნდა დაებრუნებინა მის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარი და აგრეთვე ხარჯების გაწევისთვის გადაცემული 100 ლარი. საჩივრის ავტორი ასევე, უთითებს, რომ ადვოკატმა დღემდე არ დაუბრუნა მისთვის გდაცემული საქმის მასალები ორიგინალის სახით, რის თაობაზეც ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებული იყო გადაეცა საჩივრის ავტორისთვის მის საქმესთან დაკავშირებით მიღებული და ნაწარმოები საქმის მასალები კლიენტის მოთხოვნისთანავე.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს ეკისრება ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი, მათ შორის უარყოს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია და დაამტკიცოს კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს სადაოდ არ გაუხდია საჩივრის ავტორის მიერ მის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები.

7.16 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატს გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა, საადვოკატო საქმიანობა განახორციელოს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს ადვოკატის პროფესიას. თითოეული ადვოკატის ქმედება ზეგავლენას ახდენს ადვოკატთა კორპუსის და პროფესიის პრესტიჟზე და მისდამი საზოგადოების ნდობაზე. მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა ადვოკატ თ. ჯ.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და ეთიკის კომისიამ უნდა იმსჯელოს, თუ რა სახის სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება შეიძლება იქნეს გამოყენებული მის მიმართ.

7.17 „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეები. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 2.5 მუხლის მიხედვით, „ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი“.

7.18 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში (საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017), ვრცელი განმარტება მიუძღვნა სახდელების შერჩევისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმებს და მიუთითა, რომ: „ადვოკატთა შესახებ“ კანონით გადაცდომისთვის დადგენილი სახდელი ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებს. სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია, ამასთან, მხედველობაში მისაღებია მანამდე არსებული პრაქტიკა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.“

7.19 ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული რეგულაციის მე-10 წესს, რომელიც დამატებით კრიტერიუმებს განსაზღვრავს პროპორციულობის პრინციპის გამოსაყენებლად: „სანქციის დაკისრებისას გასათვალისწინებელია დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, მათ შორის, მანამდე, ადვოკატს ჰქონდა თუ არა დისციპლინური სახდელი დაკისრებული; ადვოკატის

მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა დისციპლინური საქმისწარმოების პროცესის ხელშეშლას, აღიარებს თუ არა ადვოკატი გადაცდომას, ადვოკატის რეპუტაცია და შრომითი სტაჟი, დროულად და კეთილსინდისიერად გადაცდომის შედეგების გამოსწორება". (ABA, Model Rule 10 - Sanctions)

7.20 მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელი გარემოებებია: ადვოკატმა ჰონორარის სახით მიიღო 900 ლარი, 100 ლარი დამატებით საჩივრის ავტორის საქმის თაობაზე ქონების შეფასების მიზნით; ადვოკატს არ განუხორციელებია შესაბამისი საადვოკატო მომსახურება მიღებული ჰონორარის ფარგლებში; ადვოკატი არ აწვდიდა ინფორმაციას საჩივრის ავტორს (კლიენტს) საქმის მიმდინარეობის თაობაზე და უზღუდავდა მასთან დაკავშირებას; ადვოკატმა არ დაუბრუნა საჩივრის ავტორს მისთვის გადაცემული საქმის მასალები ორიგინალის სახით; ადვოკატს ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის განხილვის არცერთ ერტაპზე არ წარმოუდგენია თავისი პოზიცია, ან მტკიცებულება საჩივართან დაკავშირებით;

7.21 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას ასევე გასათვალისწინებელია ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავს დარღვევებზე, მათ შორის მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიის 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება (დისციპლინური საქმე 003/12), რომლის მიხედვითაც მოცემული საქმის მსგავსად, დადგინდა კლიენტის ინფორმირებულობის ვალდებულების დარღვევა, საქმის მასალების კლიენტისათვის მიუწოდებლობა, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა კლიენტის ინტერესები, მათ შორის ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის კლიენტისაგან აღებული თანხა არ გამოიყენა მიზნობრივად, რის გამოც ეს თანხა დარჩა გამოუყენებელი ადვოკატთან და არ დაუბრუნა ის კლიენტს. აღნიშნულ საქმეში, კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმების მიუხედავად არ შეასრულა გარკვეული საპროცესო მოქმედებები, ადვოკატმა სასამართლოში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი, საპროცესო ვადის დაცვით და რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არ შეავსო სასამართლოს მიერ კერძო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი. კომისიამ მოცემულ გადაწყვეტილებით დაადგინა ადვოკატის კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის ვალდებულების დარღვევა. კომისიამ შეაფასა ადვოკატის ქმედებები და აღნიშნა, რომ „კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად არ შეიძლება ჩაითვალოს საჩივრის საპროცესო ვადის დაუცველად წარდგენა, ხოლო კერძო საჩივრის წარდგენის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა, რის შედეგადაც სასამართლომ კერძო საჩივარი განუხილველი დატოვა". აღნიშნულ გადაწყვეტილებაში კომისიამ მიუთითა, რომ ადვოკატის მიმართ სანქციის შეფარდებისას მხედველობაში მიიღო „ის ზიანი, რაც მიადგა კლიენტს, ასევე, ზიანი, რაც ადვოკატმა ზემოაღნიშნული ქმედებით მიაყენა პროფესიას, რადგან ეთიკური ვალდებულებების დაცვა არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესებს ემსახურება, არამედ საადვოკატო საქმიანობასა და ზოგადად, ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობითა და პატივისცემით განსჭვალავს საზოგადოებას" აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე, ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატს სახდელის ფორმად განესაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 წლის ვადით (იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე #003/12, 12.07.2012)

7.22 მოცემულ შემთხვევაში, სახდელის ინდივიდუალიზაციისთვის მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს:

ა) გასათვალისწინებელია ადვოკატ თ. ჯ.-ის მიერ განუხორციელებელი საადვოკატო მომსახურების შედეგად საჩივრის ავტორის ინტერესების მიმართ მიყენებული ზიანი. საჩივრის ავტორმა ადვოკატისგან ვერ მიიღო ვერც ინფორმაცია და ვერც საქმის მასალები ორიგინალის სახით, რითიც მას შეეზღუდა უფლება მისი ინტერესების სასარგებლოდ რაიმე მოქმედებები განეხორციელებია. ამით ზიანი მიადგა არა მარტო კონკრეტულ კლიენტს, არამედ ზიანი მიადგა ასევე პროფესიას, კლიენტს ობიექტურად შეიძლება წარმოშობოდა უნდობლობა ადვოკატების მიმართ, რადგან ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენელმა არ დაიცვა ერთ-ერთი ძირითადი პროფესიული ვალდებულება - საადვოკატო მომსახურების კეთილსინდისიერად განხორციელებება.

ბ) ადვოკატს არც დისციპლინური წარმოების დაწყების შემდეგ არ განუხორციელებია რაიმე მოქმედება, რომ შეემცირებინა მიყენებული ზიანი, როგორც კლიენტისთვის, ასევე პროფესიისთვის. მან მართალია 2017 წლის 10 ოქტომბერს გამოხატა მზადყოფნა კლიენტისთვის ჰონორარის ნაწილის დაბრუნებაზე, თუმცა აღნიშნული ადვოკატმა არ შეასრულა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ადვოკატის პასუხისმგებლობას კლიენტისთვის მიცემული მორიგი განუხორციელებელი დაპირების გამო. კომისიის აზრით, შესაძლებელია ადვოკატს ჰქონდეს ფინანსური სირთულეები, რაც ობიექტურად ახსნადს ხდის ჰონორარის გამოუმუშავებელი ნაწილის დაბრუნების საკითხს, თუმცა ყოვლად გაუმართლებელია კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული დოკუმენტების დაუბრუნებლობა.

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს არ გაუთვიცნობიერებია მის მიერ პროფესიული ვალდებულებების დარღვევა, მას საერთოდ არ მოუწოდებია ახსნა-განმარტება ეთიკის კომისიისთვის. თავისთავად, ადვოკატის დუმილი მისი უფლებაა, თუმცა ის გარემოება, რომ ადვოკატი არ აღიარებს მის დარღვევას და არ ცდილობს დარღვევით გამოწვეული უარყოფითი შედეგების გამოსწორებას (იხ. ზედა აბზაცი) უარყოფით გავლენას ახდენს მის მიმართ გამოსაყენებელ სანქციის შეფარდებისას.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დისციპლიური სახდელის ფორმა - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა" ქვეპუნქტით, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, 35 -ე პრიმა

მუხლით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6, და მე-15 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-19, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე 077/16 ადვოკატ თ. ჯ.-ის მიმართ /სიითი N/ დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ თ. ჯ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში) გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან ერთი თვისვადაში.

გადაწყვეტილებას თან ერთვის კომისიის წევრთა - ცისმარ ონიანის, ია გაბედავას და არჩილ ჩოფიკაშვილის განსხვავებული მოსაზრებები.

კომისიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი: /ანა ხურციძე/

კომისიის წევრი: /ანა ლორია/

კომისიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კომისიის წევრი: /ცისმარი ონიანი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კომისიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კომისიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კომისიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კომისიის წევრი: /ია გაბედავა/

კომისიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის წევრისადვოკატ

ცისმარ ონიანის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №077/16 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2018 წლის 25 ივნისს დისციპლინურ საქმეზე 077/16 მიიღო გადაწყვეტილება და ადვოკატ თ. ჯ.-ს დააკისრა დისციპლინური სახდელი და ექვსი თვით შეუჩერა საადვოკატო საქმიანობა. აღნიშნულ სახდელს არ ვეთანხმები, რადგან ზედმეტად მკაცრია.

განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს წერილობითი ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების თაობაზე და შესაბამისად უცნობია, არსებობდა თუ არა საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების თაობაზე და კონკრეტულად, რა საქმეზე უნდა გაეწია მისთვის მომსახურება.

ამავე დროს, საჩივრის ავტორი თავად ადასტურებს, რომ ადვოკატმა თ. ჯ.-მ განახორციელა გარკვეული იურიდიული მოქმედებები მისი ინტერესების სასარგებლოდ, მათ შორის ლ. ბ.-თან ერთად იმყოფებოდა საგამოძიებო ორგანოში. თავად საჩივრის ავტორი უთითებს, რომ როგორც მას ახსოვს საჩივარი მის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში ადვოკატმა თ. ჯ.-მ წარადგინა.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეები. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 2.5 მუხლის მიხედვით, „ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი“.

განსახილველ შემთხვევაში, არ არის დაცული პროპროციულობის პრინციპი სახდელის დაკისრების ნაწილში. საქმეში არ არის წარმოდგენილი დამარწმუნებელი მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც პროპორციული იქნებოდა ზემოაღნიშნული სახდელის ადვოკატისთვის დაკისრება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე უპრიანი იქნებოდა სახდელის ფორმა ყოფილიყო შედარებით ლმობიერი და ადვოკატის მიმართ განსაზღვრულიყო დისციპლინური სახდელის სახით - გაფრთხილება.

ცისმარი ონიანი

ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის წევრი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის წევრის

ადვოკატ ია გაბედავას განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №077/16 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ ადვოკატ თ. ჯ.-ს არ უნდა დაკისრებოდა დისციპლინური სახდელი.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრულია დისციპლინური სახდელების და ზემოქმედების ღონისძიებების სახეები. ეს სახდელებია: გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 2.5 მუხლის მიხედვით, „ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი“.

განსახილველ შემთხვევაში, არ არის დაცული პროპროციულობის პრინციპი სახდელის დაკისრების ნაწილში. საქმეში არ არის წარმოდგენილი დამარწმუნებელი მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც პროპორციული იქნებოდა ზემოაღნიშნული სახდელის ადვოკატისთვის დაკისრება.

ია გაბედავა

ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის წევრი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის წევრის

ადვოკატ არჩილ ჩოფიკაშვილის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის №077/16 გადაწყვეტილებაზე,

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

გამოვხატავ რა ჩემი კოლეგებისადმი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებისადმი პატივისცემას, ამავე დროს, ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ განსხვავებულ აზრს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებაზე (დისციპლინური საქმეზე 077/16 ადვოკატ თ. ჯ.-ის მიმართ /სიითი#/ დისციპლინური სახდელის ფორმად საადვოკატო საქმიანობის უფლების ექვსი თვის ვადით ჩამორთმევის შესახებ)

1. დისციპლინური დარღვევის ფაქტის დადასტურების თაობაზე

1.1 დისციპლინური წარმოების პროცესში კონკრეტული ფაქტების დასადგენად და შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წინასწარ, აშკარად და ნათლად განისაზღვროს მტკიცების სტანდარტი - თუ რა მტკიცებულებით ან, მტკიცებულებებით შეიძლება ამა თუ იმ ფაქტის დადგენა რომელიც შემდგომ საფუძველი გახდება კონკრეტული გადაწყვეტილებისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფორმალური და პროცედურული მხარე თუ რა პროცედურებით, თანმიმდევრობით და წესებით უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხი.

1.2 მხარის ახსნა-განმარტება საჭიროებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში განხილვას და მისი სარწმუნოობის შეფასებას იმ კონტექსტში, რომ მხარე ყოველთვის დაინტერესებულია და მომეტებული ალბათობით შეეცდება თავის სასარგებლოდ წარმოაჩინოს ინფორმაცია და ფაქტები. ასევე, გასათვალისწინებელია სხვა, გარეშე ფაქტორები, რომელიც სხვადასხვა საქმეში განსხვავებული და ინდივიდუალურია. სწორედ ამ საფრთხის პრევენციად შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლით,

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) მე-13, 82-ე მუხლით დადგენილი რეგულირება, სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 624. სესხის ხელშეკრულების ფორმა: "სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით". სსსკ მუხლი 13. მტკიცებულება - „ 1. მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. 2. ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას ".

1.3 სსსკ მუხლი 82. მტკიცებულების შეფასება „ 1. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. 2. მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. 3. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა".

1.4 სისხლის სამართლის კოდექსით (სსკ) მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ბ'' პუნტით „სასჯელის სახეს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის წარმოადგენს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა". სსკ 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად".

1.5 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დასაბუთებული განაჩენი გამოიტანონ. მართალია, ეროვნული სასამართლოები ვალდებულნი არ არიან, დეტალური პასუხები გასცენ განმცხადებლის მიერ წამოჭრილ ყველა საკითხს მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კი განმცხადებლის მიერ წარდგენილ არგუმენტაციას ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია საქმის შედეგთან დაკავშირებით, სასამართლომ განაჩენში დეტალური პასუხი უნდა წარმოადგინოს. Application no. 18064/91Hiro Balani v. Spain, JUDGMENT - 09 December 1994./ Van de Hurk v. the Netherlands judgment of 19 April 1994, Series A no. 288, p. 20, para. 61 (The Court reiterates that Article 6 para. 1 (art. 6-1) obliges the courts to give reasons for their judgments, but cannot be understood as requiring a detailed answer to every argument) .

1.6 ,,კონვენცია მოწოდებულია უზრუნველყოს არა თეორიული ან ილუზორული უფლებები, არამედ მათი პრაქტიკული და ეფექტური განხორციელება. ეს განსაკუთრებით სამართლიანია დაცვის უფლებასთან მიმართებით, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ისევე როგორც თავად უფლებას სამართლიან სასამართლოზე, რომლიდანაც ის გამომდინარეობს" CASE OF ARTICO v. ITALY & 33 (Application no. 6694/74 JUDGMENT STRASBOURG 13 May 1980) mutatis mutandis, Airey v. Ireland, (judgment of 9 October 1979, Series A no. 32, pp. 12-14, § 24.) García Manibardo v. Spain, (no. 38695/97, § 43, ECHR 2000-II).

1.7 აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატთა ეთიკის კომისიის მიერ საქმის წარმოების მოსალოდნელი სანქციის, საქმიანობის უფლების შეჩერების ან, ჩამორთმევის სიმძიმის გათვალისწინებით არ არის მართებული მტკიცების და უფლებრივ-სამართლებრივი გარანტიების უფრო დაბალი სტანდარტის გავრცელება ვიდრე ეს სისხლის სამართლის პროცედურებით და ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით არის გათვალისწინებული.

1.8 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ ეთიკის წესების დარღვევის ფაქტის დასადასტურებლად არ იყო წარმოდგენილი უტყუარი, საკმარისი და ერთმანეთთან შეჯერებული მტკიცებულებების ერთობლიობა.

2. სანქციის შესაბამისობა

2.1 ადვოკატის მიმართ ამა თუ იმ სანქციის გამოყენება და მით უფრო, პროფესიული ეთიკის დარღვევის გამო, საჭიროებს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, დასაბუთებას, სამართლიანობას, პროპორციულობას და განჭვრეტადობას. გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა გათვალისწინებული იყოს ადვოკატის პროფესიის განსაკუთრებული სტატუსი და მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, მართლმსაჯულებაში, დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ქვეყანაში, რეგიონში, უახლოესი წარსული და სხვა მნიშნელოვანი გარემოებები.

2.2 თუ უკმაყოფილო (ან კმაყოფილი) კლიენტის საჩივარი ადვოკატის მიმართ სანქციის საფუძველი გახდება განსაკუთრებული კონტროლის და წინასწარ შემუშავებული ნათელი გარანტიების გარეშე, ეს წაახალისებს მსგავსი ტიპის საჩივრებს და საბოლოო ჯამში, უარყოფით გავლენას მოახდენს ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობასა და მდგრადობაზე. მსგავსი განვითარება ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას მოწყვლადს გახდის სხვადასხვა ინტერესების და საფრთხეების წინაშე.

2.3 იმისათვის, რომ ადვოკატის პროფესიას და ადვოკატის დამოუკიდებლობას საფრთხე არ დაემუქროს კონკრეტული სანქციის გამოყენებისთვის საჭიროა აშკარა, განჭვრეტადი და არაორაზროვანი ბარიერების დაწესება ნორმატიული რეგულირებით ნორმატიული რეგულირების ქვეშ, მინიმალური სტანდარტები ასევე შესაძლებელია ეთიკის კომისიის პრაქტიკით დაზუსტდეს.

2.4 მკაცრი სანქციის გამოყენება უნდა იყოს უკიდურესად აუცილებელი და საჭირო, სანქციის მიზნების მიღწევა შეუძლებელი უნდა იყოს ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენებით. სანქციის შეფარდებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ზიანი, რომელიც მიადგა დაზარალებულს და ზიანი, რომელიც მიადგა ადვოკატის პროფესიას კონკრეტულ შემთხვევაში.

2.5 ორი ერთმანეთის იდენტური საქმე არ არსებობს. როგორც საქმეა ინდივიდუალური და განსხვავებული ასევე ადვოკატის მიერ გასაწევი შრომაც არის განსხვავებული და ინდივიდუალური კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება, რომ „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“ არის შეფასებითი მეტ-ნაკლები ალბათობით და

შეუძლებელია, მათემატიკური სიზუსტით განისაზღვროს კვალიფიციური იყო თუ არა კონკრეტული მომსახურება. მსგავსი შეფასების დროს განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა არ დარჩეს განცდა, რომ ადვოკატს ,,უფროსი'' ყავს რომელიც მისი გადაწყვეტილებების და შრომის რევიზიას განახორციელებს.

2.6 „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონზე (კანონის ანალოგია), რომლის 53-ე მუხლით დადგენილია, რომ „სადისციპლინო კოლეგია დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვის შედეგად დადასტურდა მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა, რაც, თავის მხრივ, სადისციპლინო კოლეგიას ავალდებულებს დაადგინოს ამავე კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა ერთობლიობა, კერძოდ, “... ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, ამ კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა, ... მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში”. ამასთან, ამავე კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილია, რომ სახდელის ზომის შერჩევისას სადისციპლინო კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსსა და სიმძიმეს, შედეგებს, რომელიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხსა და მოსამართლის პიროვნებას, მის საქმიან და მორალურ რეპუტაციას“, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მოსამართლის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების ღონისძიების შერჩევის წინაპირობას, ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, კანონმდებელი სავალდებულოდ ადგენს ზემოაღნიშნულ ნორმაში განსაზღვრულ სხვა გარემოებათა ერთობლიობაში არსებობასაც, კერძოდ, მოსამართლის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში მოსამართლის ბრალის ხარისხის შეფასებას. აქვე, გასათვალისწინებელია არსებული პრაქტიკა და მათ შორის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამო მოსამართლეთა უფლებამოსილების ჩამორთმევის ნულოვანი პრაქტიკა ბოლო 10 წლის მანძილზე (http://dcj.court.ge/)

2.7 ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.'' იმისათვის, რომ ადვოკატის თავისუფლებას არ დაემუქროს საფრთხე თითოეული ადვოკატისთვის და გარეშე პირებითვის ნათელი და აშკარა უნდა იყოს დარღვევა რის გამოც დადგება პასუხისმგებლობა. უმნიშვნელოვანესია, რომ გამოყენებული სანქცია დარღვევის პროპორციული იყოს და არ იწვევდეს დამატებით კითხვებს. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება საქმე დს-შ/3-17 22 მაისი, 2017 წელი)

2.8 განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი ბრალდებები მათი დადასტურების შემთხვევაშიც კი არ მიუთითებდნენ რაიმე ისეთი სახის ზიანზე ან დანაკარგებზე, რაც აშკარად საჭიროს გახდიდა ადვოკატის უფლებამოსილების შეჩერებას.

არჩილ ჩოფიკაშვილი

ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის წევრი